საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გუჯაბიძე ბიძინა სერგოს ძე

ბ. გუჯაბიძე

გუჯაბიძე ბიძინა სერგოს ძე (დ. 20. I. 1960, სოფ. ჩოჩხათი, ახლანდ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი), ალპინისტი, მეკლდეური. დაამთავრა საქართვ. ტექ. უნ-ტი (1982). შესრულებული აქვს ასვლები უშბაზე (8 ასვლა, ერთი ჩქაროსნული – 9 სთ-ში), მყინვარწვერზე (60-მდე ასვლა, ერთი ჩქაროსნული სარეკორდო დროში – 12 სთ 20 წთ), კორჟენევსკაიას პიკზე (ორი ასვლა), კომუნიზმის (1998-იდან ისმაილ სამანის) პიკზე (ორი ასვლა), ლენინის (2006-იდან იბნ სინას) პიკზე (ორი ასვლა), ხან-თენგრიზე (11 ასვლა, 1993–2004), მთავარ ლჰოცზეზე, დჰაულაგირზე (1996), ევერესტზე (ორი ასვლა, 1999, 2004). 7-ათასიანი მწვერვალები დალაშქრა 26 - ჯერ, 8-ათასიანი – 6 ჯერ. ორგზის „თოვლის ჯიქი", ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის ორდენების კავალერი, დაჯილდოებულია ნეპალის სამთავრობო სიგელით.